პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 96 (19887) შაბათი, 25 აპრილი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 23 აპრილის სხდომაზე განიხილა, პარტიის XXVII ყრილობის დავალების შესაბამისად, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმისა და ფასწარმოქმნის სისტემის გარდაქმნასთან დაკავშირებული საკითხთა კომპლექსი, რათა შეიქმნას ახალი პირობები მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლისა და სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის პროექტში ჩამოყალიბებულ დებულებათა რეალიზაციისათვის.

განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ დაფინანსების, კრედიტებისა და ფასწარმოქმნის ახალი მექანიზმი ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას, წარმოების ინტენსიფიკაციის ზრდას, რესურსდაზოგვას, უზრუნველყოფდეს საერთო-სახელმწიფო, კოლექტიური და პირადი ინტერესების შეხამებას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გამიზნული პარტიის გეზის განუხრელ განხორციელებას.

ამ მუშაობის გაუმჯობესებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას, გაერთიანებათა და საწარმოთა სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითთანაზღაურების პრინციპების დანერგვას. გათვალისწინებულია ძირეულად შეიცვალოს საწარმოთა ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტთან, გადავიყვანოთ ისინი ნორმატიულ საფუძველზე, გავათავისუფლოთ საფინანსო ორგანოების წვრილმანი მეურვეობისა და დეტალური რეგლამენტაციისაგან. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დაიხვეწოს ფინანსურ-ეკონომიკური მუშაობა მართვის ყველა დონეზე, გაიზარდოს სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობა ფინანსების მდგომარეობისა და დარგების მეურნეობრიობის შედეგებისათვის.

უნდა გაიზარდოს ბანკების როლი და პასუხისმგებლობა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციაში, გაძლიერდეს მათი გავლენა სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. გათვალისწინებულია მეურნეობრიობის ახალ პირობებში ჭრედით ეკონომიკურ ბერკეტად კრედიტის გადაქცევის, დაკრედიტების ფუძემდებ ე ლ ი პრინციპების განუხრელი დაცვის, საგადამხდელო დისციპლინის განვითარების, ზარალისა და უყოფრათობის დასაფარავად კრედიტის გამოყენების დაუშვებლობის ღონისძიებანი. განისაზღვრა საბანკო სისტემის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშზე საკრედიტო დაწესებულებათა გადაყვანის, მუშაობის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების გზები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა და მოიწონა სსრ კავშირში მეგობრული ვიზიტის დროს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესთან ვ. იარუზელსკისთან მ. ს. გორბაჩოვის მოლაპარაკების შედეგები.

მოლაპარაკების დროს ხელმოწერილი დეკლარაცია იდეოლოგიის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის შესახებ არსებითად სწვევს წინ საზოგადოების ცხოვრების ამ მნიშვნელოვან სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის მთელ კომპლექსს. ღრმა გარდაქმნა სსრ კავშირში და სოციალისტური განახლების გეზი, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ხორციელდება, ხელშეწყობ წანამძღვრებს ქმნის მოძმე ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო დაწესებულებების, სამინისტროებისა და უწყებების აქტიური თანამშრომლობისა და გამოცდილების, გაზიარებისათვის, მშრომელთა ფართო ურთიერთკავშირისათვის.

მოიწონეს ვიზიტის დროს მიღწეული მორიგებანი საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის საწარმოებს შორის ეკონომიკური კოოპერაციის, პირდაპირი კავშირურთიერთობის შემდგომი გაღრმავების საკითხებზე. გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ ერთნაირი მიდგომა აქვთ საერთაშორისო პოლიტიკის, განიარაღების, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების კარდინალური საკითხებისადმი.

პოლიტბიურომ განსაზღვრა კონკრეტული დავალებანი დეკლარაციის ძირითად დებულებათა რეალიზაციისა და საბჭოთა კავშირ-პოლონეთის თანამშრომლობის სხვა მიმართულებათა განვითარებისათვის.

მოისმინეს მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სოციალისტური ეთიოპიის დროებით სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარესთან მენგისტუ ჰაილე მარიამთან საუბრის შესახებ, რომელიც მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა სსრ კავშირში. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სსრ კავშირი და ეთიოპია ერთნაირად უდგებიან თანამედროვე საკვანძო პრობლემებს, ცდილობენ კვლავაც განვითარონ და გააღრმავონ. ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს პ. ნ. დემიჩევის ინფორმაცია ერაყის რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის შესახებ, აგრეთვე განიხილეს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი.

ჰაფეზ ასადი მოსკოვში



სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 23 აპრილს მოსკოვში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი.

აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროდრომიდან სტუმარი კრემლისაკენ გაემართა.

• • •

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გაიმართა ჰ. ასადთან შეხვედრის საზეიმო ცერემონია.

სირიელ ხელმძღვანელს გულთბილად მიესალმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

(საკდესი).

• • •

სურათზე: კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში შეხვედრის ცერემონია.

საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

აღვზარდოთ სიტყვით და საქმით

ყოველი გარდაქმნა უნდა იწყებოდეს ახალი აზროვნების ადამიანების ფორმირებით. ეს ნიშნავს, ვასწავლოთ ადამიანს ფიქრობდეს და მოქმედებდეს საზელმწიფოებრივად, განვუვითაროთ მას საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას.

„პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესაბამისად მარქსისტულ-ლენინური განათლების სრულყოფის, შრომითის კოლექტივებისა და პარტიულ ორგანიზაციებში მისი ფართო განხილვის მოწყობის გზები განიხილეს რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის თათბირზე, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელ ალ. ალ. ბელოუსოვმ.

ალინიშნა, რომ სწავლების არსებული სისტემა, როგორც ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას. იგი მოწყვეტილია ცხოვრებას, უზარმაზარი და ზედმეტად რეგლამენტირებულია. სიტყვით აღზრდა იქ ყოველთვის ვერ უკავშირდება საქმით აღზრდას. იმან, რომ არ იმართება შემოქმედებითი დისკუსიები, გულახდილი აზრთა გაზიარება, შესაძლებელად შეაფერა სწავლისადმი ინტერესი, შეალახა მისი ავტორიტეტი. მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნაა სწორედ მოწოდებული უზრუნველყოს საქმესა და სიტყვას შორის პირდაპირი კავშირი, გააზრებული, კონკრეტული მოქმედებით დაძლიოს თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული ბზარი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში აღძრული პრობლემები, ითქვა თათბირზე, ეხება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პირობებში მარქსისტულ-ლენინური განათლების სრულყოფის ყველა მხარეს. ამასთან, მისი დამუშავების დროს გაითვალისწინეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება. რომელიც მათ შეძინეს მშრომელთა პოლიტიკურ განათლებაში რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების მონაწილეობის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში აღძრული ერთ-ერთი პრობლემების განხილვის დროს გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის სტრუქტურის რეორგანიზაციის, თვით სასწავლო პროცესის, მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის თაობაზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები გ. გ. გუმბარიძე და ნ. ა. ფოფხაძე.

(საკინფორმი).

გამოჩენილი მეცნიერის პატივსაცემად

თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერის, საბჭოთა ქართული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლისა დ ი გულწრფელი სიყვარულისა და მადლიერების გამოხატულებად იქცა საიუბილეო საღამო, რომელიც 23 აპრილს გაიმართა თბილისის ზაჰარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. იგი მიეძღვნა ქართველი ხალხის საზეიმო შვილის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინისა და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ილია ვეკუას დაბადების 80 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მეცნიერები, მისი მრავალი მოწაფე და მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ნ. თავხელიძემ. გამოჩენილი მათემატიკოსის, ამხანაგისა და ერთგული მეგობრის, მასწავლებლის, მკაცრი, მაგრამ გულისხმიერი და სამართლიანი ხელმძღვანელის, მეცნიერების ორგანიზატორის შესახებ დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილემ, სოციალისტ უ რ ი ტ ი ტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ. ბოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების საკავშირო სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელ ალ. ალ. ბელოუსოვმ.

ალინიშნა, რომ სწავლების არსებული სისტემა, როგორც ხაზგასმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში, ხელს ვერ შეუწყობს ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას. იგი მოწყვეტილია ცხოვრებას, უზარმაზარი და ზედმეტად რეგლამენტირებულია. სიტყვით აღზრდა იქ ყოველთვის ვერ უკავშირდება საქმით აღზრდას. იმან, რომ არ იმართება შემოქმედებითი დისკუსიები, გულახდილი აზრთა გაზიარება, შესაძლებელად შეაფერა სწავლისადმი ინტერესი, შეალახა მისი ავტორიტეტი. მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნაა სწორედ მოწოდებული უზრუნველყოს საქმესა და სიტყვას შორის პირდაპირი კავშირი, ეკონომიკური ფაქტორების როლი, დროულად შევნიშნოთ და მხარი დავუჭიროთ მუშების, კოლმეურნეების და სპეციალისტების შემოქმედებითს ინიციატივას, ყველაზე წარჩინებულნი წარვადგინოთ სახელმწიფო ჯილდოზე, მოწინავეთა სახელები და საქმენი ცნობილი უნდა გახდეს შრომითს კოლექტივში, დარგში, რესპუბლიკაში და ქვეყანაში. გავაფართოოთ და გავაძლეროთ შეჯიბრების, მისი ამოცანების, მიმდინარეობისა და შედეგების საჯაროობა. ოპერატიულად შევაჯამოთ შეჯიბრების შედეგები და გავაცნოთ შეჯიბრებაში ჩაბმულებს მოწინავეთა გამოცდილება, დავეხმაროთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა თავიანთი საქმიანობის შედეგები შეუდარონ სხვა კოლექტივებისა და მუშაკების მიღწევებს, გამოვავლინოთ ზოგიერთის წარმატებისა და ზოგიერთის ჩამორჩენის მიზეზები. უფრო ღრმად გავაანალიზოთ ჩამორჩენილი საწარმოების მაჩვენებლები და ჩამორჩენის მიზეზები, დროულად გავუწოოთ მათ პრაქტიკული დახმარება სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოციალისტური შეჯიბრების შესახებ მიღებული სპეციალური დადგენილების ამ მოთხოვნების შესაბამისად ვერ ხდება შეჯიბრების შედეგების შეჯამება რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კომიტეტის სისტემის, საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ დადგენილების შესაბამისად სოციალისტური შეჯიბრების განხილვისა და საათანადო ორგანოებში წარდგენისათვის დაწესებულია ერთობ შემჭიდროებული ვადები. საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მისანიჭებლად სოციალისტური შეჯიბრების მასალების წარდგენის ვადა საზოგადოებრივი მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოებისათვის ყოველი მომდევნო წლის 8 იანვარია, ხოლო სასოფლო რაიონებისათვის — 20 იანვარი. რესპუბლიკური გარდამავალი დროშის მისანიჭებლად კი მასალების წარდგენის ვადა აგრეთვე ყოველი მომდევნო წლის 20 იანვარია.

რაღა თქმა უნდა, ამ პერიოდისათვის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს, საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სამრეწველო საწარმოებს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეფასების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შეჯამებული და მით უმეტეს — განალიზებული არა აქვთ. ამიტომ სოციალისტური შეჯიბრების მასალები ძირითადად სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის და ეკონომიკური მაჩვენებლების ოპერატიული აღრიცხვის და გეგმავალდებულებების მოსალოდნელი შესრულების მაჩვენებლების მიხედვით ხდება. ამის გამო, რა თქმა უნდა, წარმოდგენილი მასალები ზუსტი და ყველაფრის მომცველი ვერ იქნება, რადგან იგი ეყრდნობა მშრალ სტატისტიკურ და ბუღალტრულ აღრიცხვას. მასალები რომ ზუსტი იყოს საჭიროა დრო, სიზუსტე; ამისათვის ჯილდოზე წარდგენა წლიური ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ, თებერვალში უნდა ხდებოდეს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ შემჭიდროებული ვადების დაწესების გამო სათანადო საკავშირო ორგანოებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების სპეციალურ ფორმაში გათვალისწინებული არა აქვთ ყველა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი: პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულება, პროდუქციის თვითღირებულება, სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა მარაგების მდგომარეობა, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, გაწეული არამწარმოებლური ხარჯები, საკუთარი და მასთან გათანაბრებული საშუალებების მდგომარეობა, ხახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხების მიზნობრივი გამოყენება, მიღებული ფასთასხვაობა, ფასწანამატი და სხვა. ამრიგად, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს არ არის ცნობილი საწარმოებისა და რაიონების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შეფასების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედეგები, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრების დებულებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან ერთად საფუძვლად უნდა დაედოს ღირსეულის გამოვლენას.

ზოგჯერ სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებული სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების წლიური შედეგების განხილვის დროს დგინდება, რომ სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულს ეკონომიკური მაჩვენებლები ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს.

შარშანდელი შედეგების მიხედვით სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა გამოსავლინებლად კომისიას წარუდგინეს მაიაკოვსკის აგროსამრეწველო გაერთიანების შედეგები. მასალები განიხილა შეჯიბრების კომისიამ. დებულებით დამტკიცებული მაჩვენებლების მიხედვით სავსებით შესაძლებელი იყო რაიონი გამარჯვებულთა შორის ყოფილიყო. მან თითქმის წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ძირი-

(დასასრული მე-2 გვ.).

საკადრო პოლიტიკას — ახალი ხარისხი

საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე ხელმძღვანელ კადრებთან და მათ რეზერვთან მუშაობის ძირითად საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცვა საქალაქო მიზნობრივმა პროგრამამ „კადრები“. მისი პროექტი მოიწონეს 23 აპრილს გამართულ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნის გაგრძელებისა და კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძის მოხსენებაში, პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში ძირითადი ყურადღება დაეთმო საქმიანობის ყველა სფეროს მომცველ განმსაზღვრელ საკითხებს: როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა, რა შეიცვალა თვისებრივ გარდაქმნათა თვალსაზრისით და რა უნდა გაკეთდეს განახლების პროცესის შემდგომი დაჩქარებისათვის. ეს ითქვა არა მარტო ტრიბუნიდან, არამედ დარბაზიდანაც, სადაც მიკროფონები იყო დადგმული.

აღნიშნა რა ძვრები სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პლენუმმა ამასთან ერთად ხაზი გაუსვა, რომ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლის მხრივ, როგორიცაა პროდუქციის რეალიზაცია მიწოდების ვალდებულებათა შესაბამისად, გეგმა სულ 98,8 პროცენტით შესრულდა. პროდუქციის საერთო მოცულობას ცხრა მილიონზე მეტი მანეთი დააკლდა. ყველაზე დებურად შეწავეედ დგას ნაწარმის ხარისხის პრობლემა. ქალაქის თერმიტი საწარმოდან, სადაც სახმიღება შემოიღეს, თითქმის ნახევარმა ათი მილიონი მანეთის პროდუქციას ვერ გადაალახვინა ეს ბარიერი. შარშანდელი წლის დამლევისათვის ორ ცვლად მუშაობა გადავიდა 7 ათასი ერთეული მოწყობილობა, მიმდინარე წელს დასახულია კიდევ 3,5 ათასის გადაყვანა. მაგრამ ეს მუშაობის მხოლოდ საწყისი სტადიაა და მისი შედეგები ჯერჯერობით შორს არის ნავარაუდევისაგან.. პარტიული კომიტეტების განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს სოციალური პროგრამა — წარმოებაში შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესება.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქმის მდგომარეობას სამშენებლო ორგანიზაციებში, სადაც ჯერ კიდევ აშკარად იგრძნობა მუშაობის ცხელი ტემი, ზოგიერთი ხელმძღვანელი მოძველებულ მეთოდებს იყენებს აქტუალურ პრობლემთა გადასაჭრელად. დრო მოდის, მდგომარეობა კი ნელა სწორდება. ეს ეხება სამშენებლო სამუშაოთა ხარისხსაც, თვით მშენებელთა შრომისა და ყოფის პირობებსაც და მთლიანად დაკისრებული საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობასაც.

მწვავე კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ქალაქის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მისამართით. გააკრიტიკეს მათი მუშაობა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, კოლექტივებში ჯანსაღი ვითარების შექმნისათვის. საქმე მარტო ცალკეული ბოროტმოქმედებანი კი არ არის — პლენუმზე ამის მაგალითიც ბევრი მოიყვანეს, — არამედ ის, რომ არ ჩანს ამ სფეროში საერთო სიტუაციის გამოსწორების ტენდენცია.

დღეს ეს განსაკუთრებით საჭიროა. პრაქტიკული განხორციელების სტადიაზეა ახლა გადაწყვეტილება საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ხალხისათვის საჭირო საქონლის წარმოების კოოპერატივების შექმნის შესახებ, ძალაში შედის კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. ქალაქში ამ მიმართულებით მუშაობა ჯერჯერობით ძალიან გაუბედავად იძვრის ადგილიდან.

ქალაქის ეკონომიკის ძირითად დარგებში შექმნილი რთული მდგომარეობა, მუშაობის გარდაქმნის ნელი ტემპი გვიკარნახებს

(დასასრული მე-2 გვ.).

დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: „ჯერ კიდევ ყველამ ვერ შეიგნო, რომ ახლებურად მუშაობა ნიშნავს მტკიცედ უკუვაგდოთ ძველი ჩვევები და მეთოდები. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია თითოეულის მოქალაქეობრივ პოზიციაზე, დაკისრებული საქმის, მოვალეობებისადმი „კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე...“ რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ეხება ისეთ საქმეს, როცა ადამიანის, მით უმეტეს ფიზიკური შრომის ადამიანის ნამოღვაწარს ვაფასებთ. ადამიანის შრომის შეფასება კი მარტო ფულადი ანაზღაურებით როდი ხდება. და როცა შეჯიბრებაში კოლექტივის, მით უმეტეს რაიონის გარდამავალი დროშით შეფასებაზე მიდგება საქმე, მაშინ დიდი სიფრთხილე, სიზუსტე, ეკონომიკური მდგომარეობის მისხალ-მისხალ აწონაა საჭირო, რათა არაფერი შეგვეშალოს, უნებლიედ ჯილდო დაუმსახურებლად არავინ მიიღოს. დაუმსახურებელი ჯილდოს მიღება დიდი ცოდვაა, დანაშაულია, რადგან ზოგჯერ გარდამავალი დროშის უკან ათასნაირი მთქმელ-მოთქმა დაიწყება ხოლმე. იგი მორალურ უკმაყოფილებასთან ერთად, საერთო საქმეს ხშირად გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

ჩვენში ყოველწლიურად (კვარტალურადაც) ბევრი შრომითი კოლექტივი იღებს საკავშირო თუ რესპუბლიკურ დროშებს და ფულად პრემიებს. ყველა დამსახურებულად ჯილდოდება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ უფრო გამიცხოველდა. რაკი გარდაქმნაზე ვლაპარაკობთ, მეც მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებასა და შედეგებზე.

აქედანვე მინდა მკითხველს მოვახსენო იმ დადებით ძვრებზე, რომლებიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაშია მიღწეული. შარშან შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის სახელმწიფო შესყიდვის, მარცვლეულის, კარტოფილის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადების დავალებანი. საზოგადოებრივ მეურნეობებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობასთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა, მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივნისში მიღებული დადგენილება — „მეთორმეტე ხუთწლედში სოციალისტური შეჯიბრების გაწლის შესახებ“ — პირდაპირ გვავალებს, რომ ყოველმხრივ გავზარდოთ შეჯიბრებაში მორალური ფაქტორების როლი, დროულად შევნიშნოთ და მხარი დავუჭიროთ მუშების, კოლმეურნეების და სპეციალისტების შემოქმედებითს ინიციატივას, ყველაზე წარჩინებულნი წარვადგინოთ სახელმწიფო ჯილდოზე, მოწინავეთა სახელები და საქმენი ცნობილი უნდა გახდეს შრომითს კოლექტივში, დარგში, რესპუბლიკაში და ქვეყანაში. გავაფართოოთ და გავაძლეროთ შეჯიბრების, მისი ამოცანების, მიმდინარეობისა და შედეგების საჯაროობა. ოპერატიულად შევაჯამოთ შეჯიბრების შედეგები და გავაცნოთ შეჯიბრებაში ჩაბმულებს მოწინავეთა გამოცდილება, დავეხმაროთ და ისე მოვაწყოთ საქმე, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა თავიანთი საქმიანობის შედეგები შეუდარონ სხვა კოლექტივებისა და მუშაკების მიღწევებს, გამოვავლინოთ ზოგიერთის წარმატებისა და ზოგიერთის ჩამორჩენის მიზეზები. უფრო ღრმად გავაანალიზოთ ჩამორჩენილი საწარმოების მაჩვენებლები და ჩამორჩენის მიზეზები, დროულად გავუწოოთ მათ პრაქტიკული დახმარება სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

გარდამავალი დროშის ჯილდო

როგორ ვაჯამებთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ვინ იმარჯვებს, ვინ არის ჩრდილში

ვალილინოთ ზოგიერთის წარმატებისა და ზოგიერთის ჩამორჩენის მიზეზები. ეს ეხება ინდუსტრიულ საწარმოებსაც, ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ჰქონდათ სკკპ ორგანიზატორული უნარიც, მაგრამ იჩენდნენ პოლიტიკურ მოუმწიფებლობასა და უიდეობას, ავადდებოდნენ მომხვეჭელური ფსიქოლოგიითა და ხშირად საქმოსნები და კომბინატორები ხდებოდნენ.

თუ უზნეო და უიდეო ხელმძღვანელი კოლექტივის თავკაცი გახდა, ასეთ კოლექტივში ფუჭდება მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო, თავს იჩენს ანტისაზოგადოებრივი ძოვლენები. სამწუხაროდ, ასეთი არაერთი ფაქტის მოწმენი ვყოფილვართ.

ყოველივე ამის გამო მიზანშეწონილად მიმაჩნია ასეთი წესის შემოღება: მოეწყოს დასაწინაურებელი კანდიდატების შესახებ საზოგადოებრივი აზრის ანკეტური შესწავლა. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შემდეგ საკითხი იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ როგორ შეფასდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაწინაურებელი კანდიდატურის პოლიტიკური, იდეური და ზნეობრივი მონაცემები. ასეთ შემოხვევაში კადრების შერჩევისადმი სუბიექტური მიდგომა გამორიცხება და გასაქანი არ მიეცემა პროტექციონიზმის გამოვლინებებს, ნაკლები იქნება შეცდომები კადრების შერჩევისას. ეს კი დემოკრატიზმის გაღრმავების ერთ-ერთ ფორმად მიმაჩნია.

ვ. ძიგუა,
საქართველოს სსრ დამსახურებული პროპაგანდისტი, საქართველოს კომპარტიის გალის რაიკომის კონსულტანტი.

დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ცალკეული ხელმძღვანელი ღრმად ვერ არის ჩახედული იმ საწარმოს მუშაობაში, მის ყველა რგოლში, სადაც იგი მუშაობს, ამიტომაც ვერ გამოყოფს მუყაოთ, ენერგიულ, საქმიან მუშას და ყველას ერთი საზომით ზომავს. ეს კი იწვევს გულის აცრუებას, საქმისადმი ზერელე მიდგომას.

ჩემი აზრით, ხელმძღვანელი მარტო საწარმოს მართვის სტრუქტურას კი არ უნდა იცნობდეს, არამედ თითოეულ რგოლს, მასში დასაქმებულ ყველა მუშას, მათს ზეხდულებებს, მათს სურვილებს.

ლ. ნარტყოშვილი,
ონის სამკერვალო ფაბრიკის III საამქროს მუშა, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი.

მისასალმებელია, რომ ჩვენს საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო ღრმავდება დემოკრატიზაციის პროცესი, მაგრამ ამან ანარქიამდე არ უნდა მიგვიყვანოს. ჩვენთან ერთპარტიული სისტემაა და საჭიროა კარგად მოფიქრებული, ორგანიზაციული და იდეოლოგიური ღონისძიებანი, რათა ერთ ადგილზე ორი ან მეტი კანდიდატურის წამოყენება უბრალო ფორმალობამდე არ მივიდეს. ამიტომ, ჩემი აზრით, უპირველესად უნდა შემუშავდეს საარჩევნო დებულებები.

ბ. ლომთათიძე,
მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე აღინიშნა, რომ თითქმის ყველა მხარს უშერს გარდაქმნას. ჩემი აზრით, გარდაქმნა რეალურად ძნელად განხორციელდება, სანამ პრაქტიკულად არ გარდაქმნება ხელმძღვანელი რგოლების მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, სანამ არ დაკანონდება მთელი რიგი პრინციპული საკითხები. ეს არის დემოკრატიის განვითარება, საწარმოთა დამოუკიდებლობა და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი კომუნისტის ან ერთი საამქროს, ერთი ბრიგადის, რაიონის თუ ქალაქად მუშაობის გარდაქმნა საქმეს დიდად ვერ გამოასწორ

დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმია

გარდამავალი დროშის მიღმა

როგორ ვაჯამებთ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, ვინ იმარჯვებს, ვინ არის ჩრდილში

ყველა ერთნაირად როდი შეეთვისა გარდაქმნის პროცესს. განსაკუთრებით ძველ კადრებს უქირთ სიახლესთან შეგუება, არ სურთ, ან არ შეუძლიათ ახლებურად მუშაობა, რადგან მათ ფსიქიკაში ძირფესვიანად გამჯდარი უნარ-ჩვევები ძნელი დასაძლევია. ამიტომ სასურველია ძველი ხელმძღვანელი კადრები ცოტა უფრო თამამად შეიცვალოს ახლით, რასაკვირველია, გონივრულად, მრავალგზის აწონ-დაწონვის შემდეგ. თანამდებობისთვის უნდა შეავარჩიოთ ახალგაზრდები, რომელთაც ხელმძღვანელობის უნარი აქვთ, გამოცდილება შეიძლება აკლდეთ, მაგრამ ამასაც თანდათან შეიძენენ. როცა ახალგაზრდას უნარი და მორალური თვისებები აქვს, ის უკვე კადრია, მისგან მომავალში სასურველ ხელმძღვანელს მივიღებთ და გარდაქმნაც გაიოლდება.

წლების განმავლობაში პარტიულ სამუშაოზე ყოფნამ დამარწმუნა, რომ კადრების ობიექტურად შერჩევა წარმატების ყველაზე რეალური და სანდო წანამძღვარია. 1973 წელს გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გენერალურ დირექტორად ადოლფ ხუროძე დანიშნეს. მის მოსვლამდე გაერთიანება ერთ-ერთ ჩამორჩენილ საწარმოდ ითვლებოდა. გამოცდილმა სამეურნეო ხელმძღვანელმა სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და, რაც მთავარია ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებით დაიწყო მოქმედება. მან, უპირველეს ყოვლისა, კადრების აღზრდას, შერჩევასა და განაწილებას მიაქცია დიდი ყურადღება. შეიცვალა საამქროთა უფროსები, ტექნიკური კონტროლის სამსახურების მუშაკები. სწორად და, უწინარესად, კოლექტივის აზრის გათვალისწინებით შერჩეული ხელმძღვანელების უმეტესობამ ძირითადად გაამართლა იმედი, საქმეც აეწყო. ისე გამოვიდა, რომ წარმოებიდან ადრე წასული მუშები უკან ბრუნდებოდნენ, ერთგულად ჰკიდებდნენ ხელს თავიანთი მოვალეობის შესრულებას. გაძლიერდა თანამონინენრის სამსახური, რომელსაც სათავეში კა-

(დასასრული

თადი პროდუქციის მიყიდვისა და სხვა დავალებები. წლიური ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზმა კი სულ სხვა შედეგი მოგვცა. რაიონმა თითქმის ვერც ერთ სახეობაში (გარდა რძისა და საკვებისა) ვერ შეასრულა ძირითადი პროდუქციის წარმოების გეგმები. დამზადების გეგმები კი შესრულდა, მაგრამ რა ფასად? თითქმის ყოველგვარი პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით გაძვირებულია. ცენტნერი რძის წარმოება 14,08 მანეთით გაძვირდა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—398,26 მანეთით, ღორის ხორცისა — 194,92 მანეთით, ყურძნისა — 23,14 მანეთით, ხილისა — 9,11 მანეთით და ასე შემდეგ. სულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების მატების გამო გადაიხარჯა 1.581 ათასი მანეთი, აქედან მეცხოველეობაზე 1.160 ათასი მანეთი მოდის, ხოლო მემცენარეობაზე — 421 ათასი მანეთი. რაიონმა ძირითადად ვერ შეასრულა აგრეთვე პირუტყვის სადღეღამისო წონამატებისა და მემცენარეობაში მოსავლიანობის გეგმები. ხელფასის ფონდში დაუშვა გადახარჯვა 257 ათასი მანეთი. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების მთლიან შემოსავალში შრომის ანაზღაურების ხვედრითი წილი 63 პროცენტი იყო. საზოგადოებრივ მეურნეობებს 431 ათასი მანეთის დებიტორული და 738 ათასი მანეთის კრედიტორული დავალიანება ერიცხებათ. საბალანსო მოგების გეგმის შესრულებას დააკლდა 324 ათასი მანეთი; თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივი მეურნეობების მიერ მიღებულ ფასდანამატს და დოტაციას (1852 ათასი მანეთი), მოგების ნაცვლად რაიონი 342 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრებდა სამეურნეო წელს. ნაცვლად გეგ-

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

მით გათვალისწინებული 1834 ათასი მანეთისა, მიიღებდა (ფასდანამატისა და დოტაციის გამოკლებით) 342 ათასი მანეთის ზარალს. ამასთან ერიცხებათ სახელმწიფო ბანკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები. იგი წლევანდელი 1 იანვრისათვის 1.679 ათასი მანეთი იყო; მათ შორის ვადაგადაცილებული დავალიანება 192 ათასი მანეთია. შეჯიბრების მონაცემებით კი შეიძლებოდა რაიონს ჯილდო მიეღო. სწორი იქნებოდა? რა თქმა უნდა, არა.

მარნეულის აგროსამრეწველო გაერთიანების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შარშან წარმატებით გაართვეს თავი კარტოფილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა-ვალდებულებებს. წარმოების გეგმა 106,2 პროცენტით, დამზადებისა კი 110,4 პროცენტით შესრულდა. პროცენტების მიხედვით ურიგოდ არ უნდა ყოფილიყო საქმე. ერთი შეხედვით, მართლაც ეჭვს ვერავინ შეიტანდა და ვერ იტყოდა, რატომ მიაკუთვნეთ დროშაო. ფაქტები კი სხვას მეტყველებს. უნდა ითქვას, რომ რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, გარდა კარტოფილისა, ვერ შეასრულა ვერც ერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმები. თიოზიარალებდნენ შარშანდელ სამეურნეო წელს.

გარდა მატყლისა, არც ერთ სახეში არ შესრულებულა წარმოების გეგმები. არ შესრულდა წველადობის, სადღეღამისო წონამატებისა და მოსავლიანობის გეგმები. ხელფასის ფონდი გადაიხარჯა 3.979 ათასი მანეთით. დებიტორული დავალიანებები წინა წელთან შედარებით 1.112 ათასი მანეთით გაიზარდა და წელს იანვრისათვის 8.037 ათასი მანეთი, ხოლო კრედიტორული დავალიანების მეურნეობების მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა 86,4 პროცენტით. შესრულებას დააკლდა 3.773 ათასი მანეთის პროდუქცია. თითქმის ყველა სახის პროდუქციის თვითღირებულება გაძვირდა. მთლიანად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების გამო გეგმასთან შედარებით 6.772 ათასი მანეთის ზარალია. (ცენტნერი რძის თვითღირებულება 10,65 მანეთით გაძვირდა, ძროხის ხორცისა — 240.25 მანეთით, ღორის ხორცის — 196.15 მანეთით, ყურძნის — 6,25 მანეთით, სიმინდის 32,65 მანეთით და სხვა).

ორიოდე სიტყვა რესპუბლიკური გარდამავალი დროშით დაჯილდოებულ რაიონზეც მინდა ვთქვა:

ლაგოდეხის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანება სოციალისტური შეჯიბრების დამტკიცებული დებულების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიეკუთნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების წლიური ანგარიშგების მონაცემების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზი (რომელიც სოცშეჯიბრების მასალებში არ არის მოცემული) კი გვიჩვენებს, რომ იგი იმსახურებდა საკადრო სოციალისტურ შეჯიბრებაში წარდგენას. ამის საშუალება საკადრო სოციალისტური შეჯიბრების პირობებმა არ მოგვცა. რაიონს გეგმა კი ჰქონდა შესრულებული, მაგრამ არ ჰქონდა შესრულებული სახელმწიფოსთვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულება. ასე რომ, თუ მასალებს უფრო გვიან მოვთხოვდით, მაშინ ანალიზი საშუალებას მოგვცემდა უფრო მეტ ჯილდოზე წარგვედგინა რაიონი.

საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებით 3.185 ათასი მანეთის ეკონომია მიიღეს. წარმატებით შეასრულეს რაიონისათვის წამყვან დარგებში მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის გეგმები. გეგმიური მოგების სულ 6.433 ათასი მანეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ მიღებულ ფასწანამატს, რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების სამეურნეო წელს 4.598 ათასი მანეთის ზეგეგმიური მოგებით დაამთავრებდნენ. ნაცვლად 10.233 ათასი მანეთისა, მიღებული აქვთ 16.666 ათასი მანეთის წმინდა მოგება.

დებიტორული დავალიანებანი წინა წელთან შედარებით 167 ათასი მანეთით შეამცირეს.

შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური მდგომარეობაა ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობებისა და სამრეწველო საწარმოების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების საქმეშიც.

სოციალისტური შეჯიბრების როლისა და ავტორიტეტის გაზრდისათვის, შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს მეტი ობიექტურობისათვის, საუკეთესოთა შორის საუკეთესოთა შერჩევისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელობას მიზანშეწონილად მიაჩნია, გადავხედოთ სოციალისტური შეჯიბრების მასალების განხილვისა და წარდგენის ვადებს და სოციალისტური შეჯიბრების პირობებს. ვფიქრობ, ეს დიდ მატერიალურ და მორალურ სარგებელს მოგვცემს.

ლუდვიგ ღურჭაია,
საქართველოს სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ნდობის უფლება

რაოცა თქმა სჯობს არათქმასა

ამას წინათ ერთი ნაცნობი კარდიოლოგი შემხვდა. უფროსი თავვიანობისთვის, ვიდრე რიმე ინფორმაციის მიღების მიზნით, კკითხე: რა ახალი ამბები გაქვთ ესკულაპებს?

ფორმალურად არ უპასუხია (ალბათ, სურდა თავისი დაკვირვებანი გაეზიარებინა): ჩვენთან, ერთი ანდაზისა არ იყოს, საუკეთესო ახალი ამბავი ის არის, როცა ახალი ამბავი არ არის. მაგრამ, ვაი, რომ ასე არ არის. ხომ გესმით... გარდაქმნა, დაჩქარება...

როცა ეს ამბავი ვუთხრეთ ერთერთ ამაოგანს, ვინც ასევე „დენთის კასრზე“ ზის — წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორს ბოჩია ჩარკვიანს, ძალზე თავისებურად გამოეხმაურა: „შეტისმეტად ხშირად ხომ არ ვხმარობთ ამ სიტყვებს — „დაჩქარება“, „გარდაქმნა“. მეშინია არ გავაუფასუროთ ეს ცნებები...

ამის გამო ანეგდოტებიც კი გავრცელდა. თუ გაგიგონიათ: კუპეში ფარდები ჩამოუშვეს და წარმოიდგინეს, ვითომ მიემგზავრებიან. ახლა ფარდები ჩამოხსნეს და ისეთ სახეს ვიღებთ, ვითომ აღშფოთებული ვიყოთ, ესაოდა, საჯაროობა მოდაშია. მინდა ვუთხრა ლაზიანდარებს: საკუთარ თავს დავცინოთ...“.

დირექტორის ამგვარმა გულახდილობამ გულწრფელობა მიანიჭა ჩვენს საუბარს.

ბ. ჩარკვიანი: როცა გარდაქმნის საკითხი დადგა, ჩავფიქრდი. მაინც, რას ნიშნავს ეს? თვალი დავხუჭე, ჩავფიქრე, გამოვფხიზლდი და ჩემს ირგვლივ ყველაფერმა სახე იცვალა: გაქრნენ ჩინოვნიკები, მეკონიუნქტურეები, კარიერისტები, მლიქვნელები, მაამებლები... გაქრა ყოველივე, რაც აფერხებდა წინსვლას. და დაიძრა სიუხვის მდინარე. ხელმძღვანელი აღტაცებულია ხელქვეითებით, ხელქვეითნი — ხელმძღვანელებით. და დადგა ჟამი ქათინაურებისა. თუმცა, ქათინაურებში ცუდი არაფერია. მართალია ბულატ ოკუჯავა, ერთ-ერთ სიმღერაში ამისთვის რომ მოგვიწოდებს. მაგრამ, მოდით, ჯერ ვისწავლოთ ერთმანეთისთვის პირში სიმართლის თქმა, თორემ ტყუილნარევი სიმართლე სიცრუეზე უარესია.

მესამე წელია მოქმედებს კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. ყველა ასპექტს არ შევეხები, ერთ რამეს კი ვიტყვი: ვიყენებთ თუ არა კანონს, ვთქვათ, საწარმოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განხილვისას? არა. თორემ გეგმას ძველებურად „ზემოდან“ არ ჩამოგვიგზავნიდნენ.

სხვა რამესაც გეტყვით, რისთვისაც გული მტკივა. ზოგჯერ გამოგიძახებენ და შეგარცხვენენ, ესაოდა, შენს მეზობელს არავითარი ფონდები არა აქვს და მაინც გაეშენაო, ვთქვათ, სათბური, სასოკე, საღორე თუ ფერმა. სხვათა შორის კი, მათი ხორცის თვითღირებულება 6 მანეთია, კიტრისა — 5 მანეთი. სამაგიეროდ ინიციატივა „გამოჩინეს“, ანგარიში ჩაბარეს. ჩვენ კი გვცხვენია ხმამაღლა ვილაპარაკოთ ასეთ „საზრიანობაზე“.

ახლა მოჩვენებითობაზე. სოფელ ხაიშიდან სულ 23 კილომეტრია ორმელეთის უბნამდე. მაგრამ რად გიჯდება ყოველი კილომეტრი? ცხადია, ეს რუსთაველის პროსპექტზე გასეირნება არ არის. ერთი პატივცემული გაზეთი ცოტა ხნის წინათ, როცა პრესა ჯერ კიდევ ასე არ „იკბინებოდა“ და სიამდვილეს „ფერ-უმარილით“ გვიხატავდა, წერდა: „წალენჯიხაში გვითხრეს, რომ ორმელეთელი ბიჭები სამუშაოზე ჰალსტუხით დადიან“. შევუნდოთ ეს „თვითნებობა“ ჟურნალისტებს. დღეს ასე ალარ იტყვიან. ნამდვილად გარდაიქმნენ. სამაგიეროდ იტყვიან, რომ ჩვენს ბიჭებს ჰალსტუხები ისევე სჭირდებათ, როგორც ბაყაყს ქოლგა, აი, სპეცტანსაცმელი კი აუცილებელია! გამძლე, წყალგაუმტარი ტანსაცმელი და თმილი ფეხსაცმელი. ამბობენ, წინათ ჩინებული სპეცტანსაცმელი იყოო. ქუთუკი და შარვალი. მსუბუქი, მოსახერხებელი, ნესტიც ვერ ატანდა შიგ. სად გაქრა? ვინ დაეხმარება ტყის მჭრელს?

და როცა მესმის სიტყვები — „დაჩქარება“, „გარდაქმნა“, ვუკვირდები ორატორს — რატომ მოითხოვს ასე მზნეებარედ? იმიტომ, რომ ამას მისგან მოითხოვენ, თუ მთელი სულით და გულით მზად ვიყოთ ამ გარდაქმნებისათვის? რა არის მისთვის მთავარი? სიტყვები დეკლარაციები თუ ცოცხალი საქმე?

ჩვენთვის, მთაში მომუშავეებისათვის, ეს სიტყვები ძალზე ახლობელი და გასაგებია. მაშ, რა გვიშლის მწვერვალზე ასვლას? აქ დროებით შევწყვეტინებ ჩემს თანამოსაუბრეს, რათა წარმოგიდგინოთ იგი და გიამბოთ იმ საწარმოს შესახებ, რომელსაც მეთაურობს.

ბოჩია ჩარკვიანი 46 წლისაა, დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სატყეო მეურნეობის ინჟინერია; პარტიაშია 20 წელი, ჰყავს ორი შვილი, საერთო შრომის სტაჟი 22 წელია. მეტყევე, უფროსი მეტყევე, მთავარი მეტყევე, უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე — წალენჯიხის სატყეო მეურნეობის დირექტორი. 1985 წლიდან სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი.

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა — ერთ-ერთი უდიდესი საქართველოში (ეზოზელ რესპუბლიკებში — სომხეთსა და აზერბაიჯანში ასეთი მეურნეობანი საერთოდ არ არის) — საკმაოდ დიდხანს „ქუხდა“ თავისი შრომითი წარმატებებით და ბიმის დასტურია სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებისათვის მოპოვებული საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები.

შემდეგ, მისი ყოფილი ხელმძღვანელის ნიკოლოზ აფაქიძის პენსიაზე გასვლის მერე, კიდევ ერთი დირექტორი ჰყავდა, მაგრამ ცოტა ხნით. ჰოდა, დაიწყო მეურნეობის უკან სვლა. „სალაროს დარღვევებიც“ კი ამოამუწინეს და საქმე პროკურატურამდე მივიდა. მეურნეობა ლამის გაპარტახდა...

საჭირო იყო სტაბილური და ენერგიული ხელმძღვანელი, რომელიც კოლექტივს ძველ დიდებას დაუბრუნებდა. რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტრო და პარტიის რაიკომი შეთანხმდნენ, რომ საჭიროა იყო არა „გარედან“ მოყვანილი კაცი, არამედ ისეთი, რომელსაც უწინარეს ყოვლისა კოლექტივი მოიწონებდა. მინდა აღვნიშნო: დირექტორის საკითხს ვიწრო წრეში კი არ წყვეტდნენ, არამედ საჯაროდ. შესთავაზეს ბ. ჩარკვიანს, თავდაპირველად ყოყმანობდა, უარიც კი თქვა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა.

— ახალ ადგილზე, — მეუბნება იგი, — ახლებურად უნდა იმუშაო. ბევრი ფიქრის დრო არ იყო. საწარმომ თავისი სახელი დაკარგა. პირდაპირ უნდა შემეტია, ხალხთან ურთიერთობა დამეყარებინა. მეურნეობის მასშტაბიც განსაკუთრებულია: მისი 27 უბანი მოქმედებს რესპუბლიკის 12 რაიონში. სწორედ ამიტომ ვეჭვობდი: შეეძლება? და მაინც დავთანხმდი...

სატყეო-სამრეწველო მეურნეობა ჩვეულებრივი სამრეწველო საწარმოა, ოღონდ კედლები და სახურავი არა აქვს. აქ ხე-ტყეს ამზადებენ — თოვლში, სუსხში, თქვეშში...

განვაგრძოთ მასთან საუბარი.

ბ. ჩარკვიანი: ჯერ კიდევ ხეტყის სამრეწველო დამზადების გარიჟრაჟზე იშვა ერთი მცდარი აზრი, რომელიც დღემდე შემორჩა: ჰგონიათ, თითქოს განსაკუთრებით ძვირფასი იყოს მარტოოდენ ეგრეთ წოდებული სამასალე მერქანი, ტოტები ბუნებრივ ნარჩენებს მიაკუთვნეს, მისგან კი, სხვათა შორის, ძალზე ბევრი რამის გაკეთება შეიძლება...

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ დავამზადოთ ყველაფერი — ხის ქერქით დაწყებული და ტოტებით დამთავრებული, როგორც ეს, მაგალითად, იციან ფინელებმა. ჰოდა, გადავწყვიტეთ შეგვეერჩია ინიციატივიანი ხალხი, რომლებსაც გული შესტკივათ საქმისთვის, და შევთავაზეთ მუშაობის ყველაზე პროგრესული ფორმა — ბრიგადული იჯარა. ახლა რამდენი ასეთი ბრიგადა გვყავს. ერთერთი მათგანი, რომელსაც ვალერი ჩჩეტიანი ხელმძღვანელობს, ყოველწლიურად იღებს პრემიას — საერთო გამონამუშევრის 20 პროცენტს. წლიური დავალების რეალიზაციისათვის დამატებით იღებენ საერთო გამონამუშევრის 50 პროცენტს. ფულს კოლექტივის წევრები იყოფენ შრომითი მონაწილეობის შესაბამისად...

როცა დიდი ოქტომბრის 70 წლისთვის აღსანიშნავ სოციალისტურ ვალდებულებებს ვამუშავებდით, ამ საკითხს ბრიგადული იჯარის განვითარების თვალსაზრისით მივუდექით. ეს საშუალებას მოგვცემს არა მარტო გავზარდოთ მერქნის დამზადება, არამედ უკეთ გამოვიყენოთ საერთოდ მთელი ნედლეული. მთლიანად დარგისათვის პრობლემად რჩება არა მარტო ნარჩენების შეგროვება და გამოზიდვა, არამედ თვით მერქნის დამზადებაც და ტექნიკის უქონლობაც.

ვისი ბრალია, რომ ტექნიკა არ არის? მმართველობელების?

ამ-თაც აქვთ თავიანთი გასამართლებელი მიზეზები, ჰოდა, გაიკეთა დეფიციტის ჯაჭვი, რომელმაც პრაქტიკულ ცხოვრებაში შეიძინა პრინციპი: „მე — შენთვის, შენ — ჩემთვის“. ვიღაცას ხე-ტყე სჭირდება, ვიღაცას — ნაფოტები, მეც ხომ მჭირდება რაღაც? ვინცა გთხოვს, იცის და ირონიულადაც გეტყვის: ამბობენ, სუზდალის მრავალსართულიანი სახლის სიმაღლე ეკლესია ისე აუშენებიათ, ერთი ლურსმანიც კი არ უხმარიათ, აი თქვენს გარაჟში თუ შეუძლიათ ისე შეაკეთონ მანქანა, რომ ერთი ქანჩიც კი არ იხმარონ?

მოდი და ნუ შედრკები ასეთ შეკითხვაზე, როცა შენთან გახურებული მუშაობაა, ტექნიკა კი გაჩერებულია: ზოგს ძრავა აქვს გაფუჭებული, ზოგს — სავალი ნაწილი.

ტექნიკა არ არის, სათადარიგო ნაწილები არ არის, მაშ, რაღა არის? არის დოყლაპიობა, რუტინა, ხალტურა, პასიურობა. კარგი კი იქნებოდა, პირიქით ყოფილიყო!

გეუბნებით ყოველივე ამას და თან ვფიქრობ: ერთიც ვნახოთ და, ეს გაცვეთილი ჭუმბარიტებანი პრესაში ალმოჩნდა. წარმომიდგენია, რამდენი იტყვის გაბრაზებული: „ჰო, ჰო, გამოჩნდა ბრძენი...“.

არც ის იქნება გასაკვირი, რომ „გამიწყრნენ“. მეტყვიან, ჟურნალისტთან გისაუბრია, მაგრამ თუ „შეთანხმე“ საკითხი?

ასე რომ, თუ მასალას მოამზადებთ, თვითონ მოელაპარაკეთ უფროსობას“.

მართალი გითხრათ, ასეთ რამეს არ მოველოდი. არ ვაპირებ დავას, საკითხია თუ არა ხელმძღვანელების სანქციები, როცა დიდი საწარმოს დირექტორს ესაუბრები „არა სახელმწიფო საიდუმლოებაზე“ (რაც უნდა იყოს, აქ ათასი კაცი მუშაობს). მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ძველ-რბილში გვაქვს გამჯდარი ძველი ჩვევა: „თვალში ნუ ეჩხირები!“.

მაშასადამე, მე დირექტორი უკვე გალალებული მეგონა, ის კი, თურმე ნუ იტყვით, იმავე „ჯიშისა“ ყოფილა — ფრთხილი და შებრკოლი. პირდაპირ ვუთხარი ეს და პასუხიც მოვისმინე.

ბ. ჩარკვიანი: ალბათ, ყველაზე ძნელი ის არის, რომ შეგნება გარდაქმნა, თანაც, არა მარტო საკუთარი. ერთი მხრივ, უდიდესი ფასეულობანი მოგანდეს და მოითხოვენ, რომ მეურნეობა რაც შეიძლება ეფექტიანად იყოს ორგანიზებული. მეორე მხრივ, ათასგვარი ინსტრუქციები ხელს გიშლის ამ ეფექტიანობის მიღწევაში. ჰოდა, ყოველდღე ცდილობ როგორმე ამოხსნა ამოუხსნელი ამოცანა: რა იქნება, მთელი ამ აკრძალავი ცირკულარების რევიზია რომ მოვაწყოთ? ან, უყურეთ, საქაღალდეები ძველებურად გაბეჭნილია, ქაღალდებიც სასწრაფოა: „ზომახსენეთ“, „დაეკალოს“, „მაცნობეთ“...

შემოიღეს ახალი მაჩვენებლები, ძველი არ გაუუქმებიათ. ანგარიში ყველა მაჩვენებლის მიხედვით უნდა ჩააბარო. ვერ გამიგია, თუ მიწოდების გეგმა შევასრულეთ, მომზმარებელიც კმაყოფილია, რაღა უნდათ? მაგრამ ვიღაცას სჭირდება დადგენილი ფორმით ანგარიშგება, ათასგვარი კრებსითი ცნობების შედგენა, ჰოდა, დუღს და ბობოქრობს ქაღალდების ნიაღვარი, რომელსაც შეუძლია წალეკოს ნამდვილი მუშაობა...

იმისათვის, რომ დღეს დირექტორმა ნაყოფიერად იმუშაოს, საჭიროა არა მარტო ცოდნა და კომპეტენტურობა, არამედ შესაბამისი დონე და ინტერიერიშებიც. ასეთი აზრისანი არიან ახლა კოლექტივში, მითუმეტეს „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის პროექტის განხილვის შემდეგ.

ჩემი კანდიდატურის არჩევისას კოლექტივში უკმაყოფილონიც აღმოჩნდნენ: „რაო, ახალ დირექტორს უნდა, რომ იმავე ხელფასით მეტი ვიმუშაოთ?“. კიდევ კარგი, რომ ოპოზიცია არ შეაკოწიწეს, თორემ „გამაშავებდნენ“.

მე გავაკანონ მთლიანად მეურნეობის პროგრამა და ვუთხარი: ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა იმუშაოს ადამიანებთან, დაიჩქაროს მუშაობის ტემპი და გაუმჯობესოს მისი ხარისხი, საერთოდ მთელი ატმოსფერო, რომელშიც ოდესღაც სახელმოხვეჭილი კოლექტივი აღმოჩნდა.

ირწმენეს და თქვეს: დაე, ჩარკვიანმა გაამართოლოს ჩვენი ნდობა. თუ ვცდებიან, მისი შეცვლის საკითხს დავსვამთ. ოღესღაც ჩვენზე წიგნი დაწერეს, ახლა ფელეტონამდე ხომ არ მივიყვანთ საქმეს?

ჰოდა, ერთმა ჩემმა „ქომაგმა“, ძველმა ‘ მებულდოზერემ, რომელიც სიყრმიდანვე მცნობს, გამამხნევა: ჰა, ბოჩია, მართლა საფელეტონოდ არ გაგვიხადო საქმე. როცა ძალიან გაგიჭირდება, იყოჩაღე: დაუყოვნებლივ და სწრაფად გადადი ბიულეტენზე...

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო. მაგრამ თვითონ ვიცი, რა მოსდევს კრიზისულ სიტუაციებს. სამხედროებისგან ვიცი. უკან დახევისას ერთბაშად ვერ გადახვალ იერიშზე. ფსიქოლოგიურად არის შეუძლებელი. გარდატეხვისთვის საჭიროა ახალი რეზერვი, რომელიც საბრძოლველად გაგამხნევებს. ძველი ჩვეულებანი ახალ ნორმებს ვერ შეეგუება. ეს კი უკვე ბრძოლაა, შეუთბოვარი ბრძოლა, სადაც ჭეშმარიტი მოჩვენებითს ერკინება, საქმე — ლაყბობას, ხარისხი — ხალტურას, ფაქტი — ჭორებს, სიმართლე — სიცრუეს, დემოკრატია — დემაგოგიას. ბრძოლა, რომელშიც ვიღაცას უჭირს იმის გამო, რომ ოდესღაც ყველაფერი იოლი იყო. და როგორც ყოველ ბრძოლაში, აქაც იქნებიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი. ვინც ფარ-ხმალს დაყრის ამ მკვეთრი გარდაქმნების წინაშე, უნდა გაგვიკალოს, თორემ ინფარტამდე შეიძლება მიუვიდეს საქმე.

ახლა ვიცი, რა უნდა ვუპასუხო, თუ შევხვდი ნაცნობ კარდიოლოგს: „ვინც მიწაზე მკვდრად არ დგას, შეიძლება ნიავმაც კი წააქციოს...“.

მიხეილ ფიჩხაძე.

ახლებური აზროვნება წარსულის ფონზე?

ჭეშმარიტის ტრიბუნა

ამ დღეებში გურჯაანში გაიმართა მეგენახეთა რესპუბლიკური თათბირი, რომლის მონაწილენი ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის განვითარების პრობლემასაც შეეხნენ. რა დასამალია, ეს დარგი ჯერ კიდევ ერთ-ერთი ჩამორჩენილია ჩვენთან. გულახდილად თუ ვიტყვით, კავშირის მასშტაბით თითქმის არც ერთ რესპუბლიკას არა აქვს ისეთი ხელსაყრელი პირობები მომთაბარე მეცხოველეობის განვითარებისათვის, როგორიც ჩვენსას. საქართველოს სამი მეოთხედი ხომ მთაგორებია, სადაც ადრე ვხნავდით თუ ვთესავდით, ახლა კი იალაღებად არის მიშვებული. მომთაბარე მეცხოველეობა ჩვენი ხალხის სისხლხორცეული საქმე იყო ოდითგან. ცნობილია, რომ ის ქვეყანაა მდიდარი, ძლიერი და ჯანსაღი, სადაც მეცხოველეობას სათანადო დაფასება, სიყვარული და ყურადღება ეთმობა. ჩვენ კი ამ მხრივ საგრძნობლად ჩამოვრჩით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

თათბირზე ამხანაგ ჯუმბერ პატიაშვილის გამოსვლაში განსაკუთრებით იმ ფაქტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ ბოლო წლებში ძალზე შემცირდა პირუტყვის სულადობა საკარმიდამო მეურნეობაში, რომ ამ ყველაზე უფრო დიდ რეზერვს გერის მდგომარეობაში ვაყენებთ, ვუდგებით ვიწროუწყვეტრივი ინტერესებით და მისი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა კი დავიწყებული გვაქვს.

განა დასაგმობი არ არის ის ფაქტი, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ძალზე ავიწროებენ საკარმიდამოს პირუტყვს?!

ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანზე ვერ შევჩერდები, მაგრამ მინდა ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვანზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება, რომელთა გაუთვალისწინებლობაც არაფრით აღარ შეიძლება. ეს გახლავთ სოფლად მწყემსის საკითხი.

სოფლის მწყემსი (მენახირე) ხომ ბუნების მეგობარია და ძარღვი დოვლათისა. მაგრამ, აბა, დაიარეთ მთელი საქართველო, ძალიან ბევრ სოფელში ვერ ნახავთ პროფესიონალ სტაჟიან მწყემსს. მაშ, ვინ უვლის სოფლის ნახირს? — ისმის კითხვა. ვინა და თვითონ საქონლის პატრონები რიგრიგობით მორიგეობენ და მწყემსის როლში გვევლინებიან სოფლის ინტელიგენტები, მუშა-მოსამსახურეები, კოლმეურნეები... ამ როლში ხშირად მინახავს აგრეთვე სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე, ბრიგადირები და ბუღალტრები, სკოლის მასწავლებლები და სხვა დარგის მუშაკები, რადგან მწყემსის პრობლემა სოფლად ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია.

მწყემსის პროფესია იოლი და ადვილად დასაუფლებელი არავის ეგონოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გიყვარდეს ეს საქმე. მერე მთავარია იცოდე, როგორ მწყემსო ნახირი, სად მწყემსო, რა დროს როგორი საძოვარი უნდა შეურჩიო და სხვა.. შემთხვევითი არ ალმოჩენილა ეს ადამიანი ამ ადგილებში. ეს ადამიანი ბევრ სოფელში ვერ ნახავთ

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

საკადრო პოლიტიკას — ახალი ხარისხი

(დასასრული)

იმის საჭიროებას, რომ გავაქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, გამოვაელინოთ და გამოვიყენოთ პარტიული ზემოქმედების გაძლიერების, საგეგმო დავალებებისა და მიღებული გადწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლის რეზერვები, საერთოდ განვამტკიცოთ დისციპლინა.

როგორც პლენუმზე აღინიშნა სახალხო განათლების სისტემის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების შესაბამისმა განყოფილებებმა ჯერ კიდევ ვერ განსაზღვრეს მკაფიოდ თავიანთი ადგილი დასახული რეფორმის განხორციელებაში.

ყველაფერი რიგზე ვერ არის პროპაგანდისტების, პოლიტინფორმატორების, ლექტორების, იდეოლოგიური კორპუსის სხვა წარმომადგენლების კადრების შერჩევაშიც. ქალაქში მათი რიცხვი 30 ათასამდეა, სათანადო უკუგება კი არ ჩანს. მაგალითად, მარტო ბოლო ორ წელიწადში საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებს ქალაქის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბიუჯეტიდან 700 ათასზე მეტი მანეთი გადაუხადეს. მაგრამ ეს ხარჯები აშკარად არ ნაზღაურდება.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კადრების შერჩევის პრაქტიკა, ორგანიზაციებისა, რომლებშიც წყდება, არსებითად, გარდაქმნის ბედ-იღბალი. პლენუმზე მოიყვანეს ციფრი — პირველადი ორგანიზაციების 105 განთავისუფლებული მუშაკიდან ყოველ მესამეს სპეციალობაც არაფერი აქვს საერთო იმ დარგთან, რომელსაც განეკუთვნება მისი პარტიული ორგანიზაცია.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს თვისებრივად ახალ ამოცანებს უსახავს კადრების შერჩევისა და დაწინაურების ფართო დემოკრატიული ფორმები. საგრძნობლად იზრდება განმარტებითი მუშაობის პოლიტიკური მეთოდების, დარწმუნების, აღზრდის, დასაბუთებული პროპაგანდის როლი. ამასთან დაკავშირებით ორატორებმა თქვეს, რომ, როცა კომუნისტებსა და უპარტიოებს მოვუწოდებთ გულახდილად გამოთქვან თავიანთი აზრი, გააკრიტიკონ ხარვეზები და ისინი, ვისაც პერსონალურად მიუძღვის ბრალი მათ დაშვებაში, საჭიროა მკაცრად აღვკვეთოთ კრიტიკის ჩახშობის და მით უმეტეს კრიტიკისათვის დევნის შემთხვევები, უზრუნველვყოთ მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების სათანადო კონტროლი და უთუო რეაგირება მათზე. თვით პლენუმზე კრიტიკა ზუსტი, კონკრეტული ხასიათით გამოირჩეოდა და მიმართული იყო საწარმოებისა და ორგანიზაციების, პარტიის რაიკომების კონკრეტული ხელმძღვანელების, საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებისა და მდივნებისადმი.

პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ კადრებთან მუშაობის გარდაქმნის, პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და მებრძოლურობის გაზრდის, პარტიული კომიტეტების საქმიანობის სტილის სრულყოფის საკითხები მთლიანად უნდა ექვემდებარებოდეს თვისებრივ გარდაქმნებს ქალაქის ცხოვრების ყველა სფეროში, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებას.

მიღებულ რეზოლუციაში გამოთქმულია რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანოები და ორგანიზაციები ძალღონეს არ დაიშურებენ გარდაქმნის პროცესის გაკაჩუტებისა და დემოკრატიის გაღრმავებისათვის, უზრუნველყოფენ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების უთუო შესრულებას.

(საქინფორმი).

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში

აპრილიდან აპრილამდე

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ განვლილი წელი უაღრესად დაძაბული იყო ათასობით სპეციალისტისათვის, რომლებიც მუშაობდნენ ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის და სადგურის გაჩერებული ბლოკების ამოქმედებისათვის. ვაკაკაობითა და პასუხისმგებლობით იყო ნაკარნახევი აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა საბჭოთა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მაქსიმალური ინფორმირებისათვის: წლის მანძილზე მოეწყო ათზე მეტი პრესკონფერენცია, ქვეყნის გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა 450-ზე მეტი მასალა.

22 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებისა და სადგურში სამუშაოთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის მინისტრმა ნ. ფ. ლუკონინმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავარიის მიზეზების შესწავლისათვის საავარიო და აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებისათვის ამოქმედდა ქვეყნის საუკეთესო სამეცნიერო, საკონსტრუქტორო, საწარმო, სამშენებლო-სამონტაჟო და საექსპლოატაციო ორგანიზაციები.

„საფარი“ („საარკოფაგი“) ობიექტის შექმნის სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოთა მოკლე დროში განხორციელებამ მთლიანად გამორიცხა ავარიული ენერგობლოკიდან ატმოსფეროში რადიოაქტიურ ნივთიერებათა გაღწევის შესაძლებლობა. მისდამი საგულდაგულო დაკვირვება იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ მისი მდგომარეობა უსაფრთხოა და მთლიანად კონტროლს ექვემდებარება. პირველი და მეორე ენერგობლოკების ამოქმედებამ და ექსპლოატაციამ ცხადყო მათი დიდი სიმედეობა. დღეისათვის ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში გამომუშავებულია 6,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამასთან სადგურში ავარიის ლიკვიდაციის სამუშაოები გრძელდება. მიმდინარეობს მესამე ენერგობლოკის საგულდაგულო დეზაქტივაცია და რევიზია იმ მიზნით, რომ მოეწყოს მისი პროფილაქტიკური რემონტი.

წლევანდელი გაზაფხლი წყალდიდობის პერიოდში რადიაქტიური გაჭუჭყიანების შესაძლო მიგრაციასთან დაკავშირებული პასუხსაგები მუშაობის ეტაპია. საგაზაფხულო წყალდიდობით მდინარეების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესაძლებლობის თაობაზე მეცნიერთა მიერ გამოთქმული დამაიმედებელი პროგნოზი დადასტურდა. აშენდა 130-ზე მეტი დამცავი ჯებირი, არხი, ფსკერული დახალაქების საპერები.

ჩერნობილის კიდევ ერთი მოქმედი ფრონტია მედიცინა. კიევში ექმნილი სპეციალური რადიოლოგიური ცენტრი განუწყვეტლივ აწარმოებს დაკვირვებას ავარიის ადგილის მახლობელ ზონაში მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

პრესკონფერენციაზე საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს პასუხი გასცეს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მ. პეტროსიანცმა, სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გ. სოკოლოვსკიმ, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ლ. ა. ილინმა.

(საკავშირო).

**საკავშირო ● ● ●

სტილია და ადამიანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ შორის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას კვლავ და კვლავ მოსდით წერილები, რომელთა ავტორები მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას, ჩვენი რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის ოთხქმის ყველა კუთხის მშრომელთ იმ დიდი ზრუნვის, ყურადღების, დახმარებისა და თანაგრძნობისათვის, რომელიც გამოავლინეს მათ საქართველოში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო. ამასთან, ზოგიერთ წერილში გამოთქმულია შიში თუ ეშვი, რომ მოსახლეობის გაუვანან, შესაძლოა, გაეუკაცრაველოს ხვანეთი, ამ ხალხის ენას, ჩვენებსა თუ ტრადიციებს საფრთხე შეუქმნესო. აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ საქართველოს შრომითი რესურსების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს რუსუდან ჯაფარიძეს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ალექსი რობაქიძეს.

— ქალბატონო რუსუდან, სტიქიური უბედურების გამო რომელი რაიონების მოსახლეობა იქნა გამოყვანილი საშიში ზონებიდან?

— იმ ტერიტორიებიდან, რომელიც დასავლეთ საქართველოს თეერ რიგ რაიონებში დატრიალებულმა სტიქიამ შეგვიქმნა, უპირველესი ამოცანა იყო ადამიანთა საშიში ადგილებიდან სასწრაფოდ გახიზვნა, სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების მთელი ორგანიზაციული მუშაობა. შედეგი? 20 ათასამდე კაცმა ძალზე მოკლე დროში დაიგუა თავი სამყოფოებრივ.

თუ ხობის, ცაგერის, საჩხერის, გალის, ონის, ამბროლაურისა და სხვა რაიონებში სტიქიის მიერ დაზარალებულთ ამავე რაიონებში მიეჩინეს თავშესაფარი, მესტიისა და ლენტეხის რაიონები მოკლებული იყო ამ საშუალებას — აქ ხომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზვავი თუ მეწყერი იყო მოსალოდნელი. ამიტომაც გახდა აუცილებელი მოსახლეობის ნაწილის სხვა რაიონებში გახიზვნა. ამ მხრივ კი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეექმნა მესტიის რაიონსმ, ვინაიდან უგზოობის გამო მოსახლეობის გამოყვანის ერთადერთ საშუალებას მხოლოდ საჰაერო გზა წარმოადგენდა, და ისიც მაშინ, როცა ამინდი ამის საშუალებას იძლეოდა...

— სად და რა პირობებში დახიზნავდა ხვანეთიდან ჩამოყვანილი მოსახლეობა?

— ამასთანავე, რომ ოპტიმალურად გამონახულიყო ყველა რეალური შესაძლებლობა დაზარალებულთა რესპუბლიკის ბარის რაიონებში მისაღებად, შრომის სახელმწიფო კომიტეტში დაწესდა სადღეღამისო მორიგეობა. ასე რომ, ეწყვეტი კავშირი დამყარდა რესპუბლიკის რაიონებთან. ქალაქ მარნეულისა და მარნეულის რაიონის, ბოლნისის, საგარეჯოს, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, აგრეთვე ახალქალაქის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი იღონეს ჩამოსახლებულთა დასაბინავებლად.

იმ ოჯახებმა, რომლებიც აქამდე მოუთმენლად ელოდნენ ახალმოსახლეობას მათთვის აშენებულ ბინებში, უყოყმანოდ დაუთმეს ისინი დაზარალებულთ, ხოლო წლევანდელ ან ახალქალაქის რაიონის შრომელებმა დროებით გამოუთავისუფლეს და მოუმზადეს მათ ორასამდე ბინა და საცხოვრებელი სახლი.

უმოკლეს ვადებში შესრულდა სამშენებლო თუ სარემონტო სამუშაოები, ბინებში დაიდგა აუცილებელი ავეჯი და ინვენტარი, რაიონების ხელმძღვანელმა ორგანიზებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, საბჭოთა მეურნეობებმა ყველაფერი იღონეს განსაცდელში ჩავარდნილთა გულთბილი მიღებისათვის.

ასეთ პირობებში დაიწყო მოსახლეობის მესტიიდან ორგანიზებულად ჩამოყვანა. დღეისათვის ამ რაიონიდან 650-მდე ოჯახია ჩამოსახლებული ქ. მარნეულში, მარნეულის, საგარეჯოს, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის და თეთრი წყაროს რაიონებში. ყოველ

ყველას გვაქვს ცხოვრების ოქროს ხანა — ბავშვობა, რაგინდ გაჭირვებული და მშიერ-ტატვილი მოგვაგონდეს იგი. აი, მოვიდა პირველი თოვლი და შენს სიხარულს საზღვარი არა აქვს — ჭიკა არ დაგიშლის, გავარდი კიდეც შუაცეცხლი გამთბარი სამზადიდან პირდაპირ ფეხშიშველი, გარეთ, რათა უშუამავლოდ — უფეხსაცმლოდ შეეგრძნო პირველი თოვლის მშვენიერება; იმას კი არ უშავ ანგარიშს, თუ რა ქაქვილი აგიტყდება მერე თოვლით დაშუშხული ტეროფისა; ატის პირველ აფეთქებას ნახავ და თავი გავიწყდება გაზაფხულის მოციმციმი მზის ქვეშ. პირველამწვანებული თხემლის ლორთქმა შტოდან ჭორფა კანი დაანორ და ჩაბერო, რომ ამწვანებულ ვალ-მინდვრად გაისმას შენი სტვენა...

დათბობას წყალოდიდობა მოსდევს: „ცივი პარანას შობა, ცივი პარანას შობა!“.. გესმის ცივისპირელ მეზობელთა შეშფოთებული გადაძახილი, შენი ბავშვობა არას დაგიდევს მშობლების ფუსფუსს, პირუტყვს წყალოდიდობამ არა აენოს რაო, და კისრისტეხით გარბიხარ, ჩქარა გადაბედო ბეკობიდან სამხრეთ-ამერიკის ერთერთ უდიდეს მდინარეს შედარებული, აგერ გუშინ ხევში ჩაკარგული შენი პატარა ცოვის ამობრძოლებას, ახლა თითქმის ბეკობზე ამოსულს, კამეჩიც რომ გამოუტაცია შორეულ მეზობლისა, ხეები ფესვიანად მოუგლეჯია და ზანტად მოატივტივებს... აგერაც ჩვენი ბოგა, უბნის თეკლათელებს ახალენაკთან უმოკლესი გზით რომ აკავშირებდა, მიეჭვს გადარეულ ცოვს!...

ბრიყვი ბავშვობა ყოველთვის ამას და ბევრ სხვა ზარალს, სოფელს რომ მოუვიდა, არად დაგდებს, ოღონდაც ამობობოქრებული, აზვირთებული, ღონიერი დინანბოს თავისი შობლიური პატარა მდინარე, ასეთი ადიდება რომ შეძლებია.

ისიც მახსოვს, ოდაშიც რომ „გეწვევიანი“, საწოლში შემოგვდგომია და ტახტებზე ავმხტარვართ, და, სულო ცოდვილო, ბავშვობის სიბრიყვეე! — გული დაგიწყვეტია. ლაბქერის ნელი-ნელ ალება რომ შეგვიმჩნევია, წყალდიდობის ეს საოცრება ხელიდან რომ გამოგვცლია...

ზარალი დიდი მოუტანია, მაგრამ მერე ამ ადიდებული ცოვისაგან მოშლამული ეზო-ყანაში „გადაბრეულან“ ნათესებიც — სამ-ოთხ მძლეტაროანი სიმინდები, ირშინიანი ნესვები, უთვალავი გრძელი პარკებით დახლართული ლობიო, ღონეს ხმარობენ ახალმობინადრეთა ადგილობრივ გარემოსთან შესაგუებლად; მოსავალიები პირველი დღეებიდანვე მიუსდნენ ფრუტებს და პრაქტიკულად ყველგან დაკმაყოფილებულია მოთხოვნილება საოლამდელ დაწესებულებებზე. აღმასკომებმა, შრომის ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველმხრივ შეისწავლეს ჩამოსახლებულთა პროფესიული შემადგენლობა, რის საფუძველზეც ოპერატიულად განიხილავენ და წყვეტენ შრომითი მოწყობის საკითხებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მესტიის რაიონიდან ჩამოყვანილი ოჯახები (იმათ გარდა, ვინც საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა დასახლებული) დაბინავებული არიან დროებით. მათთვის და აგრეთვე ლენტეხის რაიონიდან ჩამოსასახლებელი ოჯახებისთვის ახალი სოფლები შენდება. აღორძინდება ტანძია და წერაქვი ბოლნისისა და მარნეულის რაიონებში, აშენდება სოფლები დმანისში, გარდაბანში, თეთრწყაროსა და წყალტუბოს რაიონებში.

უკვე მზადდება მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომლითაც გადაწყდება ამ სოფლებისათვის მიწის ფართობების გამოყოფის საკითხი, განისაზღვრება ინდივიდუალური სახლების, კომუნიკაციების, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის ორგანიზებული და დროულად ჩაბარების ღონისძიებანი.

საბოლოო ჯამში მესტიიდან დაახლოებით 1200 ოჯახი, ლენტეხის რაიონიდან კი 700 ოჯახი ჩამოსახლდება. თავისთავად ცხადია, რომ ორგანიზებულ ჩამოსახლებას ექვეგონებდა, ფოთში თავის მოწაფეობისას რამდენჯერ ადიდებულა რიონი და ქალაქიც კი დაუტბორავს.

ფოთ-ჭალადიდის, ხობის თუ სვანეთის ამ დიდი უბედურების ჟამს შეეხვდით და ერთმანეთს გაკუზიარეთ წუხილი მე და კოლეგამ — როდიონ (შვილმა) — ბიქაკო ქორქიამ, ბევრი საერთო ნაცნობი დაზარალებულიც მოვიგონეთ. ფოთისთვის არაფერია ასეთი რამეო, მითხრა. აი, რას წაეწყოდ მამაჩემის არქივში:

„კომუნისტის“ ინტერვიუ

მდებარება მხოლოდ ის მოსახლეობა, რომელიც სტიქიით დაზარალდა, ანდა ზვავსაშიშ და მეწყერსაშიშ ზონებში იმყოფება. მათ აუნახლოაურდნენ მიეყენებული ზარალი, მშენებლობის ხარჯები და სხვა. ასეთ ოჯახებს კი რაიონული საბჭოების აღმასკომები გეოლოგიის სამმართველოს და სხვა სათანადო სამსახურების დასკვნების საფუძველზე არჩევენ.

ეს ღონისძიებები აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სტიქიურობა, მოსახლეობის უკონტროლო გადმოსახლება და, რაც მთავარია, ხელოვნურად მართლაც არ შევუქმნათ საფრთხე საქართველოს ამ შესანიშნავი რაიონების შემდგომ განვითარებას.

— ხაფრთხე ახსენეთ და, მართლაც ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ სვანეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა დაკარგავს თავის ენას, ჩვენებსა და ტრადიციებს, რაც, ბუნებრივია, მთელი ჩვენი ხალხის კუთვნილება და სიმდიდრეა?

— დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის იმ რაოდენობით ჩამოსახლება, რაც განსაზღვრულია და მხოლოდღა აუცილებლობით არის განპირობებული, არ ქმნის სვანური სოფლების დაცლის არავითარ საშიშროებას. პირიქით, ამ ღონისძიებების გონივრული განხორციელება სასიკეთო შედეგსაც კი მოგვცემს ამ რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის.

სამე ის არის, რომ ეს რაიონები სავარგულების მწვავე სიმცირეს განიცდიან. თუ საქართველოში სამეფოლად ერთ სულ სოფლის მოსახლეზე 0,25 ჰექტარი სახნავი ფართობი მოდის, ეს მაჩვენებელი სამჯერ და უფრო ნაკლებია მეგლეტის რაიონში, ლენტეხის რაიონში კი 2,5-ჯერ ნაკლები. და ეს მოსახლეობის ბუნებრივი მატებითაც აიხსნება. მცირემიწიანობის პირობებში ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს გაზრდილი ოჯახების გაყოფა. ხშირად სამი-ოთხი ძმის ოჯახი ერთ კომლად ცხოვრობს.

მესტიისა და ლენტეხის რაიონებში მიწა ჭირს და დასაქმების სფეროც შეზღუდულია. ეს კი მიგრაციას იწვევს.

ჩვენი გამოანგარიშებით, იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩამოსახლებული ოჯახი ბარად დარჩება და არ დაუბრუნდება სვანეთს, მესტიის რაიონის მოსახლეობა დაახლოებით 29 პროცენტით, ლენტეხისა კი 23 პროცენტით შემცირდება. მოსახლეობის როდენობის შემცირება კი გარკვეულად გაზრდის ერთ სულ მოსახლეზე სახნავი ფართობის როდენობას. და თუმცა ეს მაჩვენებელი კვლავ მცირე იქნება საშუალო რესპუბლიკურთან შედარებით, მდგომარეობა მაინც საგრძნობლად შემსუბუქდება.

სამოსახლო ტერიტორიების შერჩევასას გათვალისწინებულია, რომ ჩასახლება მოხდეს კომპაქტურად, ცალკეულ სოფლებად (თითოეული არანაკლებ 100 კომლის შემადგენლობით), ისე, რომ სოფლებმა შეინარჩუნონ თავიანთი სახე და ტრადიციები. მაგალითად, დმანისის რაიონში მთელი სოფელი მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერიდან ჩამოყვანილი ოჯახებით დაკომპლექტდება. ასევე ცალკე სოფლად დასახლდებიან ხაიშის სასოფლო საბჭოდან ჩამოსახლებული ოჯახები სოფელ დურხუკში (თეთრი წყაროს რაიონი), ხოლო გარდაბნის რაიონში (ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე) აშენდება დაახლოებით 250-კომლიანი სოფელი, ფრძელიც, ძირითადად, უშგულის, კალის და იფარის სასოფლო საბჭოებიდან ჩამოსახლებული ოჯახებით დაკომპლექტდება; ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში ჩასახლდება მულახის სა-

ᲬᲧᲐᲚᲜᲘ ᲬᲐᲕᲚᲔᲜ...

თითოოდელიანი კიტრები... პირდაპირ „პარანას“ შობოდა ადიდებული მოსავალიც.

... მაშინ გადაწყდა მდინარე ცოვს ჯებირი გაეკეთებოდა. სიტყვა და საქმე ერთი შეიქნა. მოსახლეობას სესხი მოგვეცა, უვნებელ მხარეს გადაგვეტანა სახლები. დაიწყო ინ დროისათვის ნამდვილი სახალხო ლაშქრობა — ცოვის მარჯვენა ნაპირზე მოსახლეობის ეზო-კარში უზარმაზარი სამუშაოები წარმოიბდა ბათარიადან (ახლა მენჯი რომ ჰქვია), ვიდრე გოჩკაფილამდე (ახლა თეკლათი).

ჩვენს ეზოში ბიწის მთხრელთა მობრძანებენი ზეიმი იყო. შვიდი-რვა კაცი თხრიდა, ღრმად და განივრად (არავითარი ბულდოზერი ან მისი მსგავსი ტექნიკა მაშინ არ იყო) ბარ-ნიჩბით, მთად ააგორებდა ამოთხრილი მიწის მასას ორნახევარი-სამი მეტრის სიმაღლისა და ამდენივე სიგანის ჯებირად.

რაოდენ სიხარულს მანიჭებდა ბალლს, მათ ჯიდან ეკე წყალს რომ ვუზიდავდი დაცვარული კოკით. დედა თითო ჭიქა რძით და ხილითაც ახერხებდა მათ გამასპინძლებას. უფრო შეძლებული მოსახლეობა მეტი პატივით ხვდებოდა ჯებირის მშენებლებს.

ისევე, როგორც მრავალ სხვა შენაკადს, ადიდებულ პატარა ცოვსაც წყლის უზარმაზარი მასა ჩაჭქონდა თავის დედარიონში, რომლის სათავეში ნადნობ თოვლს და უხვ წვიმებს სხვა ნაკადულებიც ემატებოდა, და უჯებირო კალაპოტს გადადიოდა...

— ჯერ ადიდებული პატარა ცოვი რას შვრება, რაღას იზამს დიდი რიონი, — გვეტყოდა ბავშვებს მასწავლებელი მამა, მოიგონებდა, ფოთში თავის მოწაფეობისას რამდენჯერ ადიდებულა რიონი და ქალაქიც კი დაუტბორავს.

ფოთ-ჭალადიდის, ხობის თუ სვანეთის ამ დიდი უბედურების ჟამს შეეხვდით და ერთმანეთს გაკუზიარეთ წუხილი მე და კოლეგამ — როდიონ (შვილმა) — ბიქაკო ქორქიამ, ბევრი საერთო ნაცნობი დაზარალებულიც მოვიგონეთ. ფოთისთვის არაფერია ასეთი რამეო, მითხრა. აი, რას წაეწყოდ მამაჩემის არქივში:

ᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲓᲘᲓᲔᲑᲐ

ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲛᲔᲬᲧᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲠᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲖᲝᲜ